**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის**

**ოქმი № 4**

**ქ. ლანჩხუთი** **09.09.2019 წელი**

**15.00 საათი**

**სხდომას ესწრებოდა:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ემზარ თევდორაძე;**

**კომისიის წევრები:** ბესიკ კუპრაძე, კარლო კვიტაიშვილი, ლელა ჩახვაძე, გიორგი გვარჯალაძე, ამირან გიგინეიშვილი, ელისო ჭიჭინაძე.

**მოწვეული სტუმრები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **ვლადიმერ ნანაძე,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **ბიძინა იმნაიშვილი,** მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია,** მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი **ია ჩხაიძე,** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების" ხელმძღვანელი **დავით წერეთელი,** მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი **ნონა იმნაძე, თანამშრომლები.**

**სხდომას ესწრებოდა:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე **გიორგი ხელაძე,** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე მახათაძე,** საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე **კახა ბოლქვაძე,** საკრებულოს აპარატის უფროსი **ნინო ძიძიგური,** მერიის განათლებისა და კულტურის განყოფილების უფროსი ქეთევან ებრალიძე, ვ. წულაძის სახელობის თეატრის მუზეუმის ხელმძღვანელი **მაყვალა ჩხაიძე,** საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **მაია კუპატაძე,** საკრებულოს მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ხათუნა ვადაჭკორია.**

**სხდომის თავმჯდომარემ, ემზარ თევდორაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:**

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელთა კოლექტიური განცხადების (№ 268, 15.07.2019 წელი ) განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ემზარ თევდორაძე/

2. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების" დირექტორის წერილის (№ 306. 16.08.2019 წელი) განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ემზარ თევდორაძე/

3. სხვადასხვა

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა

**კომისიის თავმჯდომარემ, ემზარ თევდორაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:**

**მომხრე 8; წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის პირველი საკითხი:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელთა კოლექტიური განცხადების (№ 268, 15.07.2019 წელი, **(დანართი 1)** განხილვის თაობაზე, ისაუბრა კომისიის თავმჯდომარემ **ემზარ თევდორაძემ**. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო ზემოაღნიშნული განცხადება და აღნიშნა, რომ მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელთა მოთხოვნაა: მხარეთმცოდნეობის და ეგ. ნინოშვილის სახელობის მუზეუმები დარჩნენ როგორც ძირითადი მუზეუმები და მოემატოთ ხელფასები, ხოლო დანარჩენი მუზეუმები - (სპორტის მუზეუმი, ვ.წულაძის სახ.თეატრის მუზეუმი, თ. ფირცხალაიშვილის სახ. მუზეუმი) შეუერთდნენ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებას", როგორც განყოფილებები. კომისიის თავმჯდომარე დაინტერესდა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებისთვის ჰქონდა თუ არა მნიშვნელობა სხვა მუზეუმები როგორ გააგრძელებენ ფუნქციონირებას?

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელმძღვანელმა, **ნონა იმნაძემ** განაცხადა, რომ მათი მიზანი არ არის რომელიმე მუზეუმის მუშაობა დააკნინონ. მეზობელ მუნიციპალიტეტებში არის ანალოგი, სადაც მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაქვემდებარებაშია გაერთიანებული სხვა მუზეუმები. მათი სურვილია რომ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტშიც განხორციელდეს მუზეუმების ფორმირება და გაეზარდოთ ანაზღაურება.

საკრებულოს წევრმა **ლელა ჩახვაძემ** გამოთქვა მოსაზრება, რომ ყველა მუზეუმში პროფესიონალი თანამშრომელია. ბიუჯეტის გაზრდის შემთხვევაში ყველა თანამშრომელს უნდა გაეზარდოს ანაზღაურება, რომელიმეს გამოყოფა მიუღებელია.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების" ხელმძღვანელმა **დავით წერეთელმა** აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით, ა(ა)იპ „კულტურული მემკვიდრეობა" არ უნდა გაუქმებულიყო, მასში გაერთიანებული იყო ყველა მუზეუმი და დარეგულირებული იყო მათი ფუნქციონირება. ასევე აღნიშნა, რომ მუზეუმების თანამშრომლებს, რომელსაც ათ წლიანი და მეტი სამუშაო გამოცდილება აქვს ანაზღაურებაც შესაბამისი ესაჭიროებათ, მაგრამ სამწუხაროდ, მიმდინარე წელს ვერანაირად ვერ მოხდება სახელფასო ფონდის გაზრდა.

საკრებულოს თავმჯდომარე, **ბესიკ ტაბიძე** დაინტერესდა, დათვლილია თუ არა რა ოდენობის თანხაა საჭირო, რომ განხორციელდეს ხელფასების მატება?

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** განაცხადა, რომ მიმდინარე წელს ხელფასების მატება ვერ განხორციელდება, ხოლო 2020 წლის ბიუჯეტის შედგენის დროს შესაძლებლობების ფარგლებში ეცდებიან გაზარდონ სახელფასო ფონდი, რომელსაც შეუთანხმებენ ფინანსთა სამინისტროს.

**ამირან გიგინეიშვილმა** განაცხადა, რომ სასურველი იყო აღნიშნულ წერილში წარმოდგენილი ყოფილიყო მოტივაცია, რატომ უნდა იყოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ძირითადი და ასევე გაცნობოდნენ მათ სამომავლო გეგმებს. მისი მოსაზრებით სასურველია წარმოადგინონ პროგრამული ბიუჯეტი.

ვ.წულაძის სახ.თეატრის მუზეუმის ხელმძღვანელმა მაყვალა ჩხაიძემ განაცხადა, რომ არსებობს საქართველოს კანონი მუზეუმების შესახებ, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არის ადგილობრივი დაქვემდებარების მუზეუმები და სასურველია მათმა ერთნაირ პირობებში იფუნქციონირონ.

მერიის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელმა **ია ჩხაიძემ** განაცხადა, რომ ჯერ კიდევ წინა მოწვევის საკრებულოში დაგეგმილი იყო მუზეუმები ერთ მთლიან სივრცეში მოექციათ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ მოხერხდა, ახლაც თვლის რომ აუცილებელია ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება, ამ მიზნით საკრებულოსა და მერიის მიერ შესაქმნელია ერთობლივი სამუშაო ჯგუფი, სადაც მოწვეული იქნებიან ამ დარგის სპეციალისტები და გადაწყდება სამუზეუმო საქმიანობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარემ, **ემზარ თევდორაძემ** განაცხადა, რომ მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელმძღვანელმა უნდა წარმოადგინოს მათი განვითარების სტრატეგია, მოტივაცია და ფინანსური გათვლები, რომელსაც განიხილავს მერიის შესაბამისი სამსახურები. თანხმობის შემთხვევაში განსახილველად გადმოეცემა საკრებულოს.

**კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელთა კოლექტიური განცხადების (№ 268, 15.07.2019 წელი, **(დანართი 2)** თაობაზე, კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა უნდა წარმოადგინოს მათი განვითარების სტრატეგია, მოტივაცია და ფინანსური გათვლები, რომელიც განხილული იქნება მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ. თანხმობის შემთხვევაში კი აღნიშნულ საკითხზე იმსჯელებს საკრებულო.

**დღის წესრიგის მეორე საკითხი:** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების" დირექტორის წერილის (№ 306. 16.08.2019 წელი) განხილვის თაობაზე ისაუბრა კომისიის თავმჯდომარემ, **ემზარ თევდორაძემ**. მან აღნიშნა, რომ ნინოშვილის ქუჩაზე, განთავსებულია ა(ა)იპ ლანჩხუთის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების" დაქვემდებარებაში არსებული მარიკა ორაგველიძის სახელობის სამუსიკო და ვილი ბარამიძის სახელობის სამხატვრო სკოლები, სადაც 313 ბავშვი სწავლობს. მოსწავლეებს უწევთ ქუჩის გადაკვეთა, სადაც ტრანსპორტი საკმაოდ სწრაფად მოძრაობს, ამიტომ აუცილებელია აღნიშნულ ქუჩაზე განთავსდეს სიჩქარის შემზღუდველი ბარიერი (ე.წ. მწოლიარე პოლიციელები).

კომისიის წევრებმა განაცხადეს, რომ აღნიშული პრობლემა რეაგირებისთვის გადაეცემა მერიის შესაბამის სამსახურს.

**3. სხვადასხვა**

1. კომისიის თავმჯდომარემ, **ემზარ თევდორაძემ განაცხადა,** რომ აუცილებელია ქალაქის ცენტრში (წრიულ მოსახვევში) და გორგასლის ქუჩაზე (აღმაშენებლის ქუჩის კვეთაზე), სადაც ხშირია ავარიული სიტუაციები უნდა დამონტაჟდეს სარკეები.

2. **ამირან გიგინეიშვილმა** განაცხადა, რომ მოთხოვნილი იყო პირველ საჯარო სკოლასთან შუქნიშნის დამონტაჟება, მაგრამ საგზაო დეპარტამენტის მხრიდან უარყოფითი პასუხი მივიღეთ. აუცილებელია იურიდიულად გამართული წერილი გაიგზავნოს, რათა დაკმაყოფილდეს მოსახლეობის სამართლიანი მოთხოვნა.

3. **ელისო ჭიჭინაძემ** განაცხადა, რომ სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობა სარგებლობს „მედიკამენტების შეძენის დახმარების პროგრამით", რომელიც ამ დროისათვის შეჩერებულია. მიზანშეწონილია გამოიძებნოს თანხები რათა დაეხმარონ ბენეფიციარებს.

4. **ელისო ჭიჭინაძემ** ასევე აღნიშნა, რომ სოფელ ლესაში არ არის მოსაცდელი, უამინდობის დროს, მოსახლეობას პრობლემები ექმნებათ.

5. **ემზარ თევდორაძემ** განაცხადა, რომ აცანაში საჯარო სკოლის მიმდებარედ საჭიროა ე.წ. სიჩქარის შემზღუდავი ბარიერის დამონტაჟება (ე.წ. მწოლიარე პოლიციელი).

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და**
**ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე** **ემზარ თევდორაძე**

# ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
# სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა,
განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის №4 სხდომის
დასკვნა

ქ. ლანჩხუთი 09.09.2019 წ.

2019 წლის 9 სექტემბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელთა კოლექტიური განცხადების (№ 268, 15.07.2019 წელი ) განხილვის თაობაზე.

2. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების" დირექტორის წერილის (№ 306. 16.08.2019 წელი) განხილვის თაობაზე.

**კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:**

**დღის წესრიგის პირველი საკითხი** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელთა კოლექტიური განცხადების (№ 268, 15.07.2019 წელი ) თაობაზე. კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა უნდა წარმოადგინოს მათი განვითარების სტრატეგია, მოტივაცია და ფინანსური გათვლები, რომელიც განხილული იქნება მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ. თანხმობის შემთხვევაში კი აღნიშნულ საკითხზე იმსჯელებს საკრებულო.

**დღის წესრიგის მეორე საკითხი** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების" დირექტორის წერილის (№ 306. 16.08.2019 წელი) თაობაზე კომისიის წევრებმა განაცხადეს, რომ აღნიშული პრობლემა რეაგირებისთვის გადაეცემა მერიის შესაბამის სამსახურს.

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა**
**და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე** **ემზარ თევდორაძე**

ღანართი 1

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ალექსანდრე სარიშვ

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბ

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომე

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

როგორც მოგეხსენებათ, მუზეუმის თანამშრომლებთან შეხვედრაზე დაგვპირდით, რომ ჩატარდებ
რეორგანიზაცია და დამსახურებისამებრ მოგვენიჭებოდა სტატუსი და მოგვემატებოდა ხელ
რეორგანიზაცია ისე დამთავრდა, რომ არაფერი შეცვლილა ჩვენს სისტემაში ჩვენს საკეთილდღეოდ

ამიტომ მოვითხოვთ: მხარეთმცოდნეობის და ეგ.ნინოშვილი სახელობის მუზეუმები დარჩნენ, რო
ძირითადი მუზეუმები და მოგვემატოს ხელფასი,როგორც სხვა მუნიციპალიტეტებშია.

თ.ფირცხალაიშვილის სახელობის შემოქმედთა მუზეუმი არის ბიბლიოთეკა და შეუერთდეს ცენტრ
ბიბლიოთეკას, ვ.წულაძის სახ. თეატრის მუზეუმი შეუერთდეს თეატრს განყოფილების სახით,
სპორტი სპორტულ განყოფილებას.საკასო აპარატი და ბილეთები მხოლოდ ჩვენთან და ნინოშვ
მუზეუმში მოქმედებს და რატომ უნდა ვიყოთ მათთან გათანაბრებულები.მითუმეტეს რომ, სად
უნდა იკითხოთ, მხარეთმცოდნეობის მუზეუმები ყველგან პრიორიტეტულია.

გთხოვთ, აღნიშნული საკითხი ასევე  განიხილოს საკრებულოს შესაბამისმა კომისიებმა და სა
ჯგუფებმა. იმედს ვიტოვებთ, რომ ჩვენს მოთხოვნებს გულისხმიერად მოეკიდებით და მოგვანი
კუთვნილ სტატუსს შესაბამისი ანაზღაურებით.წინააღმდეგ შემთხვევასი იძულებული ვიქ
მივმართოთ სხვა ზომებს.

პატივისცემით,

ნ.იმნაძე

თ.კალანდარიშვილი

მ.სიხარულიძე

ი.მახარაძე

თ.გიორგაძე

ლ.გურგენაძე

ლ.რამიშვილი

268

15.07.19

ანბანთი 2

ა.(ა).ი.პ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანება“

ქ.ლანჩხუთი, ნინოშვილის ქ. N 52

N49 16 აგვისტო 2019წ

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესო,

მოგახსენებთ რომ, ა.(ა).ი.პ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ დაქვემდებარებაში არსებული მარიკა ორაგველიძის სახელობის სამუსიკო და ვილი ბარამიძის სახელობის სამხატვრო სკოლები, რომლებიც მდებარეობს ქ.ლანჩხუთის ნინოშვილის ქ. N 31 და N 52-ში, დღეის მონაცემებით სწავლობს 313 ბავშვი (8 წლიდან 15 წლამდე), მოსწავლეებს უწევთ ქუჩის გადაკვეთა ერთი სკოლიდან მეორეზე გადასასვლელად, აღნიშნულ ქუჩაზე კი ტრანსპორტის მოძრაობა ხშირად ხდება გადაჭარბებული სიჩქარით. ამიტომ განმეორებით მოგმართავთ თხოვნით, გაგვიწიოთ დახმარება რათა მოსალოდნელი სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილების მიზნი სკოლების მიმდებარე ტერიტორიაზე დამონტაჟებული იქნას სიჩქარის შემზღუდველი ბარიერი, ე.წ. (დაწოლილი პოლიციელი).

პატივისცემით

ა.(ა).ი.პ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
„სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“
დირექტორი: /ლია ურუშაძე/

306
16 08 1

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი
09. 09. 2019 წელი
15. 00 საათი

| სახელი, გვარი | დაწყების დრო | ხელმოწერა |
|---|---|---|
| 1. თავმჯდომარე – ემზარ თევდორაძე | 14^55 | |
| 2. კარლო კვიტაიშვილი | 14^55 | |
| 3. გოდერძი ქურიძე | — | არ ესწრებოდა |
| 4. კახა თედორაძე | — | არ ესწრებოდა |
| 5. რეზო კვაჭაძე | — | არ ესწრებოდა |
| 6. ზაალ სანაძე | 14^55 | |
| 7. ბესიკ კუპრაძე | 14^57 | |
| 8. ამირან ქანთარია | — | არ ესწრებოდა |
| 9. გიორგი გვარჯალაძე | 15^00 | |
| 10. რეზო კვერენჩხილაძე | — | არ ესწრებოდა |
| 11. ელისო ჭიჭინაძე | 15^00 | |
| 12. ამირან გიგინეიშვილი | 15^00 | |
| 13. ლელა ჩახვაძე | 15^00 | |
| 14. ცისანა ურუშაძე | — | არ ესწრებოდა |